

როგორ ჩავრთოთ 5-წლიანი მოსწავლეები სასწავლო პროცესში

ნატო ლომსაძე, გიორგი ჭანტურია, ანა მიქაძე, ანა ქინქლაძე



*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნათია ანდლულაძე, ასისტენტ-პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

სარჩევი

□ აბსტრაქტი.....	3
□ საკვლევო პრობლემა.....	4
▪ ზოგადი ასპექტები.....	4
▪ კერძო შემთხვევა - სკოლა-ლიცეუმი „ცოდნა“.....	6
□ რა არის პრაქტიკული კვლევა.....	7
□ ლიტერატურის მიმოხილვა.....	11
▪ სხვა ქვეყნების გამოცდილება.....	23
□ კვლევის მიზანი და მეთოდოლოგია.....	28
▪ კომისიის წევრები.....	28
▪ მონაცემთა შეგროვების მეთოდები.....	29
□ მონაცემთა ანალიზი.....	30
□ პრობლემის დიაგნოზირება.....	34
□ ინტერვენციის ეტაპები.....	36
▪ ინტერვენცია 1.....	37
▪ ინტერვენცია 1-ის შეფასება.....	38
▪ ინტერვენცია 2.....	38
▪ ინტერვენცია 2-ის შეფასება.....	39
□ კვლევის შედეგები.....	40
□ შედეგების განხილვა.....	41
□ კვლევის დადებითი და უარყოფითი მხარეები.....	42
□ რეკომენდაციები.....	43
□ ბიბლიოგრაფია.....	44

აბსტრაქტი

კვლევა, რომელიც ეხებოდა 5-წლიანი მოსწავლეების ჩართვას სასწავლო პროცესში, ჩატარდა 2013 წლის მარტიდან დეკემბრის ჩათვლით. ამ პერიოდის მანძილზე კვლევის ჯგუფი ნატო ლომსაძის, ანა მიქაძის, გიორგი ჭანტურიას და ანა ქინქლაძის შემადგენლობით, კერძო სკოლა „ცოდნის“ დაწყებითი საფეხურის კლასის მოსწავლეებს აკვირდებოდა გაკვეთილზე, ატარებდა ინტერვიუებს პედაგოგებთან, ურიგებდა კითხვარებს მშობლებს, საბოლოოდ კი განახორციელა ორი ინტერვენცია, რომელთა საფუძველზე მიღებული შედეგებიც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ იმ შემთხვევაში თუ 5 წლის მოსწავლე დაიშვება სკოლაში, მას მისთვის ნაცნობი გარემო უნდა დახვდეს კლასში, რაშიც უპირველეს ყოვლისა, თამაშით სწავლებას და არასტანდარტულ საკლასო ოთახს ვგულისხმობთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, არც კანონი უნდა ითვალისწინებდეს 5-წლიან სასკოლო ზღვარს და არც მშობლებს არ უნდა ჰქონდეთ სურვილი შეიყვანონ შვილი სკოლაში განურჩევლად მიზეზისა, იქნება ეს ბავშვის ნიჭის თუ მშობლისთვის დროის გამონთავისუფლების/დატვირთული გრაფიკის გამო. საბედნიეროდ, ჩვენი კვლევის დასკვნას დაასწრო ქართულმა კანონმდებლობამ და აიკრძალა 5 წლის მოსწავლეთა სკოლაში მიღება. თუმცა ამით, რა თქმა უნდა, ვერ გადაიჭრა საკითხი იმ მოსწავლეებთან მიმართებაში, რომლებიც წინა წლების მანძილზე 5-წლისები შეიყვანეს მშობლებმა. შემოდგომიდან სწორედ ამ მიმართულებით განვახორციელებთ კვლევას.

გავეცანით რა, ჩვენს თემასთან დაკავშირებით ჩატარებულ კვლევებს, სტატიებს, ქართულ თუ უცხოურ რეალობაში, გამოგვეკეთეთ შემდეგი:

თუ გვსურდა ჩვენ მიერ დასახული მიზნის მიღწევა - უფრო აქტიურად ჩაგვეერთო 5-წლიანი მოსწავლეები სასწავლო პროცესში - აქცენტი უნდა გაგვეკეთებინა გარემოზე. 5 წლის მოსწავლეებთან ყველაზე მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ფაქტორებია.

საბოლოოდ კი, განხორციელებული ინტერვენციებით კარგი შედეგები მივიღეთ 5 წლის ბავშვებთან და ვფიქრობთ, ქვემოთ მოცემული კვლევა არა მხოლოდ კერძო სკოლა „ცოდნას“, არამედ სხვა სკოლებსაც დაეხმარება სამომავლოდ, უკეთესი შედეგები მიიღონ 5 წლის მოსწავლეებთან როგორც აკადემიურ მოსწრებაში, ასევე მათი ქცევის სწორად განვითარებაში, რადგან დასმული პრობლემა უფრო მეტად უფროს კლასებში იჩენს თავს, ვიდრე დაწყებით საფეხურზე.